| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


თავადნი დავით გიორგის ძე და ვასილი ლევანის ძე გურიელნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთა გარდაცვალებას საყვარელის ბიძისას, **გენერალ-მაიორის თავ. გრიგოლ დავითის ძის გურიელისას** და სთხოვენ მობრძანდნენ ქ. ოზურგეთში 2 დეკემბერს მიცვალებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად. (2—2)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

**შაბათს, 30 ნოემბერს,**

საარტისტო საზოგადოების დარბაზში ბ-ნი ქიგონი (ქლენტი) გაჰმართავს

## კონცერტს

ბ-ნი ვ. აბაშიძისა, კ. ყიფიანისა და ფ. ქორიძის მონაწილეობით.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ერთი პატარა წიგნი რუსულს ენაზედ დაწერილი ბ-ნ ი. ი. მინკევიჩის მიერ შესახებ იმ სამკურნალო ღონის-ძიებათა და ჩვეულებათა, რომელიც ჰსუფევს კავკასიის ერთა-შორის. ავტორის წიგნში განმარტებულია აგრეთვე ისიც, თუ როგორ ექცევიან ხევსურნი მშობიარე დედაკაცებს. სრული სათაური წიგნისა ასეთია: „Сравнительное изслѣдованіе народныхъ средствъ и обычаевъ медицинскихъ на Кавказѣ. Отношеніе Хевсуръ къ ихъ роженицамъ“.

*** პეტერბურგიდამ გამოჰგზავნეს კავკასიაში ბეითალი ლანგი, რომელმაც უნდა თვალ-ყური ადევნოს საქონლის ჭირის საწინაამდეგოდ შემუშავებულ წესების შემოღებას ჩვენში და, ამას გარდა, იღონოს ღონე, რომ თუ ვინიცობაა ჭირი გაჩნდა სადმე, დიდი ზარალი არ მოუტანოს ხალხსნ.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზაზე საფოსტო და სახალხო მატარებლების მისვლა-მოსვლის დრო დეკემბრის 14-ში შეიცვლება.

*** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, სხვა-და-სხვა სასწავლებლის შეგირდები, მასწავლებლები, ექიმები და სხვ. რკინის გზით დაკლებულის ფასით დადიან, მანეთის მაგიერად ხუთს შაურს იხდიან ბილეთში. ამ უკანასკნელს დროში რკინის გზის მმართველობამ შეამჩნია, რომ ზოგთ არა აქვთ უფლება ამ შეღავათისა, რკინის გზის ადმინისტრაციას ატყუებენ და სხვის სახელზე იღებენ საშეღავათო ბილეთს. მაგალითად, ამ თთვის 25-ს შემდეგი ამბავი მოხდა საფოსტო მატარებელში, რომელიც ბაქოდგან ტფილისში მოდიოდა. სხვათაშორის ამ მატარებლით ტფილისში მოდიოდა ვიღაცა კ—ნოვისა, რომელსაც საშეღავათო ბილეთი ჰქონდა მასწავლებელი ქალის ქ-ნ აივაზოვის სახელზე. მის გვერდზე იჯდა თურმე ვიღაცა ვასილიევისა, რომელსაც ეცნო ეს ქალი და შეეტყობინებინა ჟანდარმებისთვის, რომ ეს ქალბატონი მასწავლებელი არ არის და ამისი გვარი კ—ნოვისაა და არი ა—საო. ჟანდარმებმა ოქმი შეადგინეს და რკინის გზის მმართველობას გადასცეს.

*** „ივერიის“ გუშინდელს ნომერში დაბეჭდილს ქართულის წარმოდგენის რეცენზიაში ერთი შეცდომა შეგვეპარა. ეს შეცდომა ის არის, რომ პიესა „ჟან-ბოდრი“, კ. მესხისა-კი არა, ბ-ნ ი. გ. მაჩაბლის ნათარგმნია. ამ შეცდომაში შეგვიყვანა ქართულის თეატრის განცხადებამ (აფიშამ), რომელსაც ძალიან უსწორ-მასწოროდ არდგენს თეატრის ადმინისტრაცია, რაც არა ერთხელ და ორჯელ გვქონია აღნიშნული. პიესა ჩვენა ვნახეთ და აღმოჩნდა, რომ სწორედ ისე შეუსრულებიათ ამ ხელად, როგორც ავტორსა აქვს დაწერილი. წინად-კი ბ-ნ კ. მესხის თამაშობის დროს სხვა ბოლო მიუკერებიათ და ამ ხელად-კი პიესა არა ყოფილა კუდ-მოკვეცილი; პირველ წარმოდგენის დროს გამოუბავთ კუდი.

*** ბათუმი: სწორედ უბედურს ვარსკვლავზეა დაბადებული ბათუმი არ იქმნა ვერ ეღირსა ბათუმს გამჰრიახსა და ნამდვილს გულშემატკივარს ქალაქის მმართველობასა და მოურავებს. ნეტარ-ხსენებულ დეპუტატობის დროიდან დღემდე ჯერაც ვერ შეუგნიათ, რომ ბათუმისთანა ჭაობიანისა და ნამიანის ქალაქის და მისივე მცხოვრებლების ჯანმთელობისათვის თავი და ბოლო საგანი რიგიანი და მუდმივი წყალია. რიგიანმა წყალმა თქვენი ჭირი წაიღოს, ოღონდ მუდმივ გვქონდეს? არ გეგონოთ-კი, რომ ან წყლის ან ფულის უქონლობაა მიზეზი ამისა... არა. წყალიც რიგიანია და ჯერჯერობით საკმარისიც, ფულიც საჭიროებას დაგვარ ბლომად არის, მაგრამ მაგარი ის არის, რომ საქმის გამგებელნი არა სჩანან. პირველს ოთხს წელიწადს ჩვენის ქალაქის თვით მართველობას, როგორც მოგეხსენებათ, ჩამორთმეული ჰქონდა უფლება ქალაქის თავის არჩევისა. ეს კიდევ არაფერი, საბჭოს არა აქვს მიცემული ნება ხუროთ-მოძღვრის დანიშვნისაცა განუსაზღვრელ დრომდე. პირველში დანიშნა ხუროთ-მოძღვრად დროებით სამხედრო უწყებაში ინჟენერად წოდებული ბ-ნი ს—ი. შემდეგ ლინჩევსკი, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის გამო, ისევ წინანდელი ინჟენერი ხუროთ-მოძღვრად და მაშ იმას უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საქმე წყლის გამოყვანისა ქალაქში.

ამ საქმეს უნდა პატრონობა და მცხოვრებლებს წყალი და წყალი, რომელიც მალ-მალე სწყდება და ხალხი პირღია და ხახა მშრალი რჩება უწყლოდ.

სადაც ქალაქის მიერ გაშენებული ხოხოლა და „ბოინიად“ წოდებული შენობა დაიწვა, ნება მიუციათ ყასბებისთვის, ქალაქის ბაღისა და საავადმყოფოს ცოტა მოშორებით შეინახონ პირუტყვი და დაჰკლან კიდეც. რის გამო დიდი სიბინძურე და ძლიერ მოწამლული ჰაერი ტრიალებს ამ არე-მარეში, საკვირველია ასეთი საქმე ქალაქის თვით-მმართველობისაგან. ან პოლიციის მოხელეები რატომ არ მიაქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას და ან სად განისვენებენ ჩვენი სანიტარები?!. ნეტა რისთვის ჰხარჯავს ქალაქი ათასობით სამკურნალოების შესანახად, თუ ამათვე ცხვირ

# ფელეტონი

## არშიყნი

(ეპიზოდი გურიის ხალხის ცხოვრებიდამ)

### I

მაისი იყო. ქრისტეს ამაღლება დღეს სოფელს „სერისძირაში“, ფართე, მწვანე მინდორზე, ერთ დიდს ფუტოროიანს, წვერმოტეხილს მუხის ჩრდილში მოეყარა ხალხს თავი და ერთობოდა სიმღერით, ცეკვით და ბურთის თამაშობით. მინდვრის გარეშემო მოჩანდა: ერთს მხარეს, ხით დაჩრდილული, პატარა მწვანე ქედი მთისა ანუ სერი; სერს აქეთ—ერთმანეთში არეული: სამარგლელად შემოსული მოშაო-მწვანე სიმინდი, მწვანე ხავერდივით ახალ-მოსული ღომი, მწვანე ბუჩქნარი, მაღალი ხეხილებით დაჩრდილული ეზოები, რომლებშიაც იდგნენ ისლით, ან ყავრით დახურული ფიცრული სახლები. სურათი თავდებოდა ერთს ფართე გორაზე გადაჭიმულის „დობილო“-თი*), სადაც ხეებს ქვეშ თვალს იტაცებდა მწვანე ბალახი. აგერ-ეგერ „დობილოში“ ამოეყო თავი სახლებს. როგორც „დობილო“-ში, ისე სხვაგანაც უმეტესს ნაწილს სახლებისას წინ ჰქონდა პატარა მინდორი. ერთის სიტყვით ზემოხსენებულს მინდვრიდამ თქვენ ჰხედავდით ნამდვილს გურულს სოფლებს.

შუადღეს რომ გადასცილდა, დიდძალი ხალხი მოაწვა მინდორს; დასდასად მოდიოდნენ ქალი და კაცი, ერთმანეთში არეულნი. სიმღერა-თამაშიც ძლიერ გაცხარდა; დაირის ხმაზე წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ კოხტა, მკვირცხლი, გურული ყმაწვილი ქალი და კაცი და ცეკვავდნენ; კიაფ-კიაფით გაისმოდა არე-მარეში „ხასან-ბეგური“, „აბადელია“, „მაყრული“, „არალე-თარალე“ და სხვა გურული სიმღერები. ყმაწვილი კაცები ცდილობდნენ არშიყობის მადა აღეძრათ „ციცაების“ (ქალების) გულში და ამიტომ ურევდნენ სიმღერებში ნაწყვეტ-ნაწყვეტს ლექსებს, მაგალითად:

„სულ ქვეყანა ასე ცხოვრობს,
შენ ხომ არა ხარ სული წმიდა“...

ანუ

„ციცავ, შენი სილამაზით
ეზო დაგიმშვენებია,
არ გაკოცო, არ იქნება,
აგი დამიჩემებია“...

და ათასს ამ გვარს.

მხოლოდ ერთი სიკო, ეს „ლხინის ჭიპი“, როგორც ეძახდნენ, რაღაც ვერ იყო ჯერ თავის გუნებაზე; რავდენჯერმე წაუხდა კიდეც დაწყებული სიმღერა. „რა დაგემართა, დღეს უემური (ავადმყოფობის ეშმაკი) ხომ არ შეგყრია“ო, ესაყვედურებოდნენ ყმაწვილები და თან საშველს არ აძლევდნენ,—აბა ეს სიმღერა დაიწყე, აბა ისაო. სიკო იწყებდა, მაგრამ, როგორც ვსთქვი, არ იქნა, ვერ მოსდიოდა. ყმაწვილი ქალები-კი მაინც ჩუმ-ჩუმად აპარებდნენ თვალებს სიკოსკენ.

სიკო იყო ოცი-ოც-და-ერთის წლის, შუათანა ტანისა, ბეჭებში კარგად მოსული, ლამაზი, ქერა პირის სახისა, რომელზედაც ახლად ამოსვლოდა თხელი, რბილი, ქერა-მოწაბლისფერო წვერ-ულვაში. მეტადრე უხდებოდა სიკოს ხშირი ხუჭუჭი ქერა-მოწაბლისფერო თმა და დიდრონი, ცისფერი, წყლიანი თვალები. სიკოს ეცვა გურული, კოხტა ტანთ-საცმელი—მიხაკის ფერი, სირმა მოყოლებული მაუდის ჩოხა, იისფერი ატლასის ილეღი, ისიც სირმა მოყოლებული, ქვეშ გაუხამებელი, თეთრი, მიტკლის პერანგი, ღვინისფერი მაუდის „ჩაქური“ (თავში მოჭუპნული) შალვარი. წელზე ერტყა „ბელყაიში“ (მოსირმული ქამარი) და აბრეშუმის „თალაბულისი“ (სარტყელი); ვერცხლით მოჭედილი და ოქროს წყალში დაფერილი „ფიშტო“ (დამბაჩა) და „სატევარი“ (ხანჯალი) კოხტად ჰქონდა გამაგრებული „ბელიყაიშსა“ და „თალაბულისს“ შუა. ფეხზე ეცვა ახალი წუღა, „მესტი“ (წინდისებურად შეკერილი სამუგე) და მოსირმული „საცვეთი“ (სამუგის პაჭიჭი). თავს უმშვენებდა კოხტად დახურული სირმიანი, წითელის მაუდის ყაბალახი. სიკო ათვალიერებ-ჩაათვალიერებდა ახალ-მისულ ხალხს, შემდეგ ნაღვლიანად მოაშორებდა თვალს და გაუშტერებდა „დობილოში“ ერთს ახალს „ოდას“ (სახლი), რომელსაც წინ პატარა მინდორი ჰქონდა, ერთ გვერდზე—ხეხილის ბაღი და დანარჩენი მხარე-კი ბუჩქნარით ეყო შემოზღუდული.

სამხრობის ჟამი თითქმის მოახლოვებული იყო, რომ კიდევ გამოჩნდა მინდვრისკენ მომავალი ერთი გროვა ქალი და კაცი. „თაფლაძენი მოდიან“ დაილაპარაკა ვიღაცამ. სიკომ საჩქაროდ გაიხედა მომავალის ხალხისკენ და თან რაღაც აღშფოთება დაეტყო, სახე აერ-დაერია.

— ვარდიკო არ ჩანს. სთქვა ერთმა ყმაწვილმა.

— რავა არა, გაატანე თვალი, წითელი ქოლგა რომ უკავია, იგია, უპასუხა მეორემ და მიაცქერდა მომავალ ხალხს.

— აბა, რა იყო, ავად არისო? იკითხა კიდევ პირველმა.

— ავად, არა იგი, ისე იციან ჩვენში ჭორი, უპასუხა მეორემ.

— ამოვიდა სიკოს ვარსკლავი. გადაელაპარაკა ღიმილით ერთი ეშმაკურის შეხედულების ქალი მეორეს.

— ეშველა სიკოს, მოვიდა მისი სიცოცხლე. ჩაილაპარაკა ყმაწვილმა კაცმა ჩუმად თავისთვის.

— ვინ სიცოცხლე? მივარდა და ჰკითხა ჩუმად ამ ყმაწვილს გულიამ, ზორბა, ვაჟკაცურის სახის ყმაწვილ კაცმა.

— „არაფერი“-ო დააპირა პირველმა უარის თქმა, მაგრამ გულია აღარ ეშვებოდა—„მითხარი ბარემო.“

— აი ჩვენი ელიზბარ თაფლაძის ცოლი, ვარდიკო. უპასუხა ჩუმად ყმაწვილმა გულიას.

*) დობილოს ეძახიან იმ ადგილს, სადაც მაღალი ხეებია, რომელზედაც ვაზია გაშვებული.

წინ სიბინძურის გორებს დააყენებენ სნეულების გასაჩენად და ჰაერის მოსაწამლავად!?

*** ფოთი: ნათქვამია, დიდს ალმართს, დიდი დაღმართიც მოსდევსო. სწორედ ჩვენის ფოთის საქმეც დღეს ასე შეიცვალა. ვითომ ძალიან დაფაცურდა და დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, რომ ყოველივე წესიერად და რიგიანად კეთდებოდეს. ჩარჩებს ძალიან აუკრა კრიჭა ქალაქმა აქაურის პოლიციის შემწეობით. გურიის სოფლებიდამ მომავალს გზებზე ეხლა ყარაულები დგანან და სცდილობენ, ჩარჩები ზედ აღარ მიაკარონ ხორაგისა და სანოვაგეს მომტანს. ამიტომ ეხლა პირდაპირ სასწვრის მოედანზედ მოაქვთ გასასყიდად. ყასბებსაც არ დააყარეს კეთილი. აქ ყასბები მამა-პაპურად ბატონობდნენ: ვისაც უნდოდათ, კარგს ხორცს მისცემდნენ, ვისაც უნდოდათ, ცუდს. კარგი ხორცი დამალული ჰქონდათ ყოველთვის, ეხლა ყველა დაკეტილი ოთახები გაალებინეს და კარგი ადგილის ხორცი გარედ გამოაკიდვინეს. ყველა, მდიდარი თუ ღარიბი, ერთნაირ ფასად ყიდულობს ხორცს.

*** იქიდამვე: ერთი ახირებული საქმე გაირჩა აქაურს მომრიგებელს სასამართლოში. ერთი მეგრელი უჩიოდა ერთს ქვრივს დედაკაცს, ქალი ავიყვანეთ გასაზრდელად, საძიძო მართებს და არც საძიძოს იძლევა და არც შვილი მიჰყავსო. მოპასუხე ქვრივი გამოცხადდა და პირაქეთ ითხოვა მის მომჩივნისაგან ფული, ჩემი ქალი, აგერ 18 წლისაა, მაგათს ხელშია და თითეში იმისი სამსახური თუმანიცა ღირსო, და ედავებოდა მეგრელს, ფული დაებრუნებინა ვიდრე 300 მანათი და მისი შვილიცა. მოსამართლემ დაადგინა: მიეცეს ნება დედას, წაიყვანოს თავისი შვილი თავისთან და უარი ეთქვას მეგრელს გამოსაკვების ფულზეო.

*** „ტიფ. ლისტოკ“-ს ატყობინებენ, ვითომ ნათლულში, რკინის გზის იქით, საიდუმლო საყასბოა, საცა ჰხოცავენ საქონელს ᲓᲐ მერე ხორცი მიაქვთ ბაზრებში გასასყიდად, მკურნალთა გაუსინჯველადაო. აქვე ჰხოცავენ ნაპარევს საქონელსაცაო.

## ქალაქი და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი. მართლაა ნათქვამი, ობლის კვერი გვიანცხვებაო, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, არც ამისთანა ცხობა მოუთავებელი ცომი ნახულა, როგორიც შეიქნა ის, თუ რომელს ადგილზედ უნდა დაფუძნდეს სამუდამოდ ჩვენის მაზრის სამართველონი. არიქნა და არა, ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა, და ამ მხრით ჩვენის საზოგადოების ღელვა, ბობოქრობის დამშვიდება და მოსვენება. ან როგორ უნდა მოისვენოს ან ერთმა და ან მეორე დასმა ამ გვარს ჰო არაობაში. ერთს დღეს რომ ლაილაშის მომხრეთა კრებულს გამოუბრწყინდება ბედის ვარსკვლავი და დაანახვებს ნიშნებს იმედისა და სურვილის შესრულების მოახლოვებისას, ხვალ ესევე ვარსკლავი უნათებს ცაგერის მომხრეთა დასს ჰმუნვითა და უიმედობით მოცულს არე-მარეს და უხვად ჰფენს გამამხნევებელს იმედის სხივებს. ამ ნაირად ეს სანატრელი ბედის პლანეტი ხან ერთის პარტიის სფერაზედ გამობრწყინდება და ხან მეორისაზედ, ხოლო სამუდამოდ რომლის სფერაზე გაჩერდება, ამისი-კი რა მოგახსენოთ.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც სწარმოებს საქმე სასამართლოების ცაგერიდამ ისევ ლაილაშში გადმოტანისა და დაფუძნებისა. ეს საქმე იქნა დაწყებული ქუთაისის გუბერნატორად ყოფილის, აწ განსვენებულის გროსმანის დროს. მაშინდელმა საგუბერნიო მთავრობამ ყოველის მხრით გულდადებით და მიუკერძველად გამოიკვლია ეს საქმე და ის დაასკვნა „რომ ყოველის მხრით საუმჯობესოდ დაინახა სასამართლოების ლაილაშში დაფუძნება. საქმე იქამდისაც მივიდა, რომ მთავრობამ პირობაც ჩამოართვა ლაილაშის მოქალაქეთა, შესახებ იმისა, რომ ამ უკანასკნელთ აეგოთ სასამართლო უწყებათა სადგურები, და ამის შესახებ ბეც მოსთხოვა. მოქალაქეთა ყოველივე მოთხოვნილება გუბერნიის მთავრობისა დაუყოვნებლივ შეასრულეს. ეს საქმე იმ წრეზედ იყო მისული, რომ თითქმის საეჭვოდაც აღარავის მიაჩნდა სასამართლოების ცაგერიდამ დაძვრა. მაგრამ გროსმანის გარდაცვალებამ-კი ეს საქმე ძლიერ შეაფერხა და შესაძლოა სულ სხვა მიმართულებაც მიიღოს. როგორც ხმა ისმის და ზოგიერთის ნიშნებიდამაც სჩანს, ეხლანდელი გუბერნიის უფროსი არ უნდა თანაუგრძნობდეს იმ აზრს, რა აზრზედაც იდგა ამ საგნის შესახებ მისი წინამოადგილე. ამის გამო ცოტა არ იყოს ლაილაშის მომხრეთა დასის მტკიცე იმედებს, უიმედობაც ამოუდგა გვერდში. ბ-ნი გუბერნატორი ამ ზაფხულს თვითონ ბრძანდებოდა ჩვენს მაზრაში, ორივე ალაგები, რასაკვირველია, თვითონ ინახულა, ორივე დასის აზრი და თხოვნა მოისმინა ზემოხსენებულის საგნის შესახებ, მაგრამ თვითონ-კი გარდაწყვეტილი აზრი არა უბრძანებია-რა, თუმცა ლაილაშის მომხრე საზოგადოება-კი მოელოდა ამ შემთხვევაში გარდაწყვეტილს აზრს.

ამ უკანასკნელს ხანებში კიდევ გამოუბრწყინდათ ცაგერის მომხრეთა იმედის ვარსკვლავი; მაზრის უფროსს მიუღია მოწერილობა გუბერნიის მთავრობისაგან, გამოუცხადე საზოგადოებას, ვისაც სურს ცაგერში შენობების გამართვა, მიჰყონ ხელიო. ადგილის ბაჟი გარდახდებათ, ვინც სახლს დასდგამს, საჟენზედ ორკაპეიკ ნახევარი, და ვინც დუქანს გამართავს იმას—ხუთი კაპეიკიო. მაზრის უფროსმა ეს მოწერილობა დაუყოვნებლივ გამოუცხადა მთელს მაზრას. ზოგიერთები ჩვენში ამ ამბავს ისე ხსნიან, ვითომც ბ-ნი გუბერნატორი იმ აზრზედ დამდგარიყოს, რომ სასამართლოები არ დაიძრას ცაგერიდამ. აგრეთვე მაზრის უფროსს მოსვლია წინადადება გუბერნიის მთავრობისაგან შესახებ იმისა, რომ მან წერილობით წარადგინოს თვისი აზრი, რომელს ადგილას უმჯობესია სასართლოების დაფუძნება. საზოგადოება მოუთმენლად მოელის იმის შეტყობას, თუ რომელს ალაგს მისცემს უპირატესობას ბ-ნი მაზრის უფროსი.

დიდად საჭიროა ამ საქმეს მალე მიეცეს დაბოლოება და მით მოესპოს ჩვენს საზოგადოებას ერთი უმთავრესი მიზეზი ურთიერთ შორის უთანხმოებისა, პარტიობისა და განცალკევებისა.

სვანები როგორც მოგეხსენებათ ტომით იგივე ქართველი, ჩვენი თანამოძმე ხალხია, თუ ცოტაოდენს განსხვავებას ჰნახავს კაცი ჩვენს კულტურულს მდგომარეობასა და მათსაში, ეს იმის ნაყოფია, რომ გაჭირვებულს ისტორიულს მდგომარეობას ჩვენის ერისას რამდენიმე გუნდი თავის მოძმეებისა მოუგლეჯია და შეუფარებია აქა-იქ შორეულს კავკასიონის ძნელად მისადგომ მთა-გრეხილების მთა-სავანეებში, სადაც ამ გადახვეწილს გუნდს ქართველის ხალხისას, მრავალ საუკუნოების განმავალობაში განცალკევებულს და შეფარებულს მიუვალს კლდე-ღრეებში, ცოტა არ იყოს, ფერი და ზნე უცვლია, მაგრამ გონიერი კაცი, როდესაც დაუკვირდება, ცხადად დაინახავს, რა ტომს, რა ერს ეკუთვნიან როგორც სვანები, ისე ყველა ჩვენის მთის ხალხნი. დიაღ, სვანები იგივე ჩვენი მოძმე ხალხია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ხალხი დღესაც, როდესაც ჩვენის ქვეყნის ყოველის კუთხის მკვიდრნი, ცოტად თუ ბევრად, წინ მიდიან სწავლა განვითარების მხრით, სვანები ისევ ძველებურ უსწავლელობისა და უმეცრების წყვდიათში არიან. არავინ მათის ბედ იღბლისა და მათის წარმატების გზაზედ დაყენებისათვის არავითარს ზრუნვას არ იჩენს და არაფერს არ იმეტებს, თითქოს სვანების ამისთანა უნუგეშო მდგომარეობა ჩვენთვის დასაფიქრებელს და საზრუნველს საგანს არ შეადგენდეს. დიდი ხანია, რაც საქართველოს თითქმის ყოველი კუთხე, ყოველი სოფელი ღირსა თავიანთ სასოფლო სკოლებს, სადაც მათი ახალი თაობა მცირეოდენს სწავლასა და გონების გახსნილობას მაინც იძენს. საცოდავი სვანები-კი ამის ღირსნიც ვერ შეიქნენ. ამის გამო დიდის მხიარულებით მივეგებეთ იმ ამბავს, რომ მთავრობის გარდაწყვეტილებით ზემო სვანეთში უნდა გაიმართოს ორკლასიანი სასწავლებელიო. ეხლა, როგორც „ივერიის“ № 204-ში დაბეჭდილი წერილი გვაუწყებს, ეს ხომ უკვე გამართლებულა. სოფ. მულახში გაუმართავთ ხსენებული სასწავლებელი და შეგირდებსაც ბლომად მოუყრია თავი. ეს ამბავი ყველა იმათთვის, ვისაც სვანების უნუგეშო მდგომარეობისათვის გული შესტკივა, დიდი სასიამოვნო ამბავია, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ამ სასიამოვნო ამბავს ერთი უსიამოვნო ამბავიც დაჰყოლია თან. როგორც წერილის ავტორი ბ-ნი მუკალელი მოგვითხრობს, ზემოხსენებულს სკოლაში შეგირდებს ქართულს ენას, ᲓᲐ უთუოდ წერა-კითხვასაც არ ასწავლიან თურმე. ეს, ჩვენის აზრით, დიდი ნაკლია ხსენებულის სკოლის პროგრამისა. როგორც ზემოდაცა ვსთქვით, სვანები ჩვენი მოძმე ქართველი ხალხია, მაშასადამე მათთვისაც ქართული ენის, ქართული წერა-კითხვის შესწავლა და ცოდნა ისეთივე აუცილებელი საჭიროებაა, როგორც თითოეულის ქართველისათვის. მართალია, სვანებს გადაგვარებული ვითომც თავის სა-

---

— ვარდიკოს სიკო უყვარს? გაკვირვებით იკითხა გულიამ.

— არ იცი? ახლა-კი არა, აგერ სამი წელიწადია. უთხრა ყმაწვილმა.

— ნამდვილ იცი?

— კაცო, ჩემი მეზობლის ამბავი აღარ ვიცი! სულ ერთად ამოსდით სული.

— ჰო, ახლა-კი მივხთი, იმიზა აღარაფელი გევიდა ჩემი! ძაღლათაც არ მაგდებს! კაი! ჩაილაპარაკა გულიამ ტუჩების კვნეტით და გაერია ხალხში.

ამასობაში თაფლაძენი შემოერივნენ ხალხში ჩვეულებრივის სალამქალამით.

ვარდიკო იყო ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ქალი, შუათანა ტანისა; რძისფერი-თეთრი პირისახე ხანდახან, მეტადრე სიცილის დროს, უალისფერდებოდა; თაფლის ფერი, საკმაოდ დიდრონი თვალები მშვიდად და გულკეთილობით გამომეტყველებდა; მოხრილი, შუათანა ზომის შავი წარბები შვილდივით გადასჭიმოდა თეთრს შუბლზედ. მეტადრე სამაგალითო ზომიერი და ლამაზი ჰქონდა ცხვირი და ტუჩები. ვარდიკო რომ გაიღიმებს, გეგონებოდა მზემ გამოაშუქაო. წაბლისფერი თმა სამად ჰქონდა დაწნული. საუცხოვო ლამაზად უჩნდა თმის ქვეშ ზომიერი, სწორი, თეთრი შუბლი. თავზე აბრეშუმის, ღვინისფერი „სახოცი“ ეხურა. ტანზე მომწვანო ჩითის კაბა ეცვა. ეს კაბა იმ ფასონით იყო შეკერილი, რომელსაც სოფელს „ქედის-ძირაში“ „ახალ-მოდას“ ეძახიან, ესე იგი წინ ყელი, კარგი ნაწილი მკერდისა და ძუძუებისა მოშიშვლებული ჰქონდა. ვარდიკოს არ ეტყობოდა არც კეკლუცობა, არც თავისი სილამაზით თავ-მოწონება; პირ იქით მისი საქციელი, მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი ისეთი მშვიდი, ისეთი ტკბილი და ისეთი მიმზიდველი იყო, რომ გეგონებოდათ—ეს ქალი ყველასი მორჩილი მონა არისო. მაგრამ მეზობელ ქალებს მაინც ეჯავრებოდათ ვარდიკო. ეჯავრებოდათ იმიტომ, რომ ვარდიკო სილამაზით პირველი იყო მთელს სოფელში და ყმაწვილები სულ ვარდიკოს ქებას ამბობდნენ. მართალია, „ქედის-ძირას“ ბევრი ვარდიკოსთანა და უკეთესიც გამოუზდია, ბევრსაც კიდევ გამოზრდის და ამიტომაც იქაურები „ქალთა მზის-უბანს“ ეძახიან ამ სოფელს, მაგრამ დღეს-კი მარტო ერთი ვარდიკო მეფობდა აქაურ მშვენიერებში, ყმაწვილი კაცებიც ვარდიკოს ეშხით იწოდნენ. სიმღერა ისე არ ითქმებოდა, რომ ვარდიკოს შესახებ შაირი არ გაერიათ. ასე გასინჯეთ, პატარა ბიჭებიც-კი იმღეროდნენ:

„სხვაი ქალი ჩვენ არ გვინდა,
ყველა წყალმა წაიღოსო;
კაკალ გულში გვნაცვალეთ
ელიზბარის ვარდიკოსო“.

ვინ იცის, რავდენი ამ გვარი შაირი დახარჯულა ვარდიკოს გულისთვის, მაგრამ, როგორც ამბობდნენ, ერთ სიკოს მეტს ვერავის მოეგო ვარდიკოს გული.

ხალხი შეიჯგუფა იქ, სადაც ვარდიკო გაჩერდა. ვარდიკოს ახლდა თან თავისი ქმარი, ელიზბარ თაფლაძე. ელიზბარ იქნებოდა ოცდა თუთხმეტის, თუ ორმოცის წლის კაცი. შავ წვერში აგერ-ეგერ თეთრი გამოჰრეოდა. ელიზბარს მჭკნარს და საქმიანობის მეტყველ სახეზე ეტყობოდა, რომ ის მშვენიერთა სქესის თაყვანის მცემელი არ იყო. ლამაზი ვარდიკო შეირთო, იმიტომ-კი არა, რომ მისი სიმშვენიერის თაყვანის მცემელი ყოფილიყოს. არა, ისე სოფლის ჩვეულების დაგვარად,—ყველა ლამაზს და ყმაწვილ ქალს ეძებს საცოლედ, მეც ასე უნდა ვქნაო. მართალია, ვარდიკო და ელიზბარ ტკბილად სცხოვრობდნენ—ვარდიკოს ელიზბარის მდიდარი ოჯახი უშრომლად და უზრუნველად ინახავდა და ამიტომ ტკბილად ექცეოდა ქმარს და ელიზბარ-კი თავის მხრივ კმაყოფილი იყო იმით, რომ „ცოლი ტკბილი სულიერი“ შეხვდა და ისე არ ეჩხუბებოდა, როგორც ზოგიერთები მის მეზობლობაში თავიანთ ქმრებს. არც იჭვიანი კაცი იყო ელიზბარ.

სიკო მიეყრდნო მუხას ისე, რომ ვარდიკოს და იმას თავისუფლად შეეძლო ერთმანეთის ყურება. ვარდიკომ შეუმჩნევლად აათვალიერა იქ მყოფი ყმაწვილ-კაცობა და, რა ვერ დაინახა სიკო, სახე მოეღრუბლა, მაგრამ წამსვე მოეწმინდა, რადგანაც, მოიბრუნა თავი თუ არა, მისი თვალები მოხვდნენ სიკოს თვალებს. ორთავეს ერთმანეთის შეხედვაზე ერთ გვარი ბრწყინვალე ნაპერწკალი წამოსცვინდათ თვალებიდან. იმ გვარი ბრწყინვალე ნაპერწკალი მხოლოდ იმ ადამიანის თვალში ჩნდება, რომლის გულსაც ტრფობის ცეცხლი მოსდებია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა სატრფოს უმზერს. ვარდიკომ და სიკომ საჩქაროდ მოაშორეს ერთმანეთს თვალი, რომ სხვებს არაფერი შეემჩნიათ. ისინი ძხოლოდ მაშინ შეხედავდნენ ერთმანეთს, როცა ხალხის ყურადღება სხვა რამეზე იყო მიქცეული, მაგალითად ცეკვაზე, სიმღერაზე, ახალ-მოსულ ხალხზე და სხვ. შეხედავდნენ და თვალებით ელაპარაკებოდნენ ვარდიკო და სიკო ერთმანეთს. ამბობენ, რომ არშიყთ, ანუ ტრფიალთ შეუძლიათ თვალებით ელაპარაკონ ერთმანეთს და ყოველივე თავიანთი აზრი და გრძნობა გააგებინონო.

სამხრობისას გაისროლეს მინდორზე დიდი ბურთი და შეიქნა გაცხარებული თამაშობა. გულიას ისე გაჰქონდა თავის მძლავრის მკლავებით ხალხი იქით-აქეთ, რომ თითქო ამისთვის ხალხიც ბურთიაო. რავდენჯერმე მოინდომა სიკოს ხელში მოგდება, მაგრამ სწრაფი სიკო ციბრუტივით ტრიალებდა და ამიტომ ღონიერი, მაგრამ სისწრაფით სიკოზე ნაკლები გულია, ვერ ახერხებდა სიკოს დაჭერას.

მზე ჩავიდა. თამაშობა გათავდა და ხალხმა იწყო თავ-თავიანთ სალხში დაბრუნება. წასვლის დროს სიკომ და ვარდიკომ ერთის წამის დრო იხელთეს, თვალებით ანიშნეს რაღაც ერთმანეთს და მერე გაჰყვნენ ხალხს—ერთი ერთ მხარეს და მეორე—მეორეს. ვარდიკოც და სიკოც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმათი თვალით ლაპარაკი არავის შეუმჩნევია. მაგრამ იმოდენა ხალხში რაც უნდა იყვეს, მაინც საცალა ერთმა-ორმა არ შეამჩნიოს და არ დაინიხოს, ისე არ იქნება. ვარდიკოს და სიკოს თვალების მოძრაობაც არ გამოეპარა ზოგიერთს, მეტადრე გულიას, რომელიც ისეთის ყურადღებით ადევნებდა თვალს სიკოსა და ვარდიკოს.

(დასასრული იქნება)

კუთარი ენა შეუმუშავებიათ, მაგრამ ეს ენა ისე ღარიბი და მასთან უხერხულია, რომ ძნელად შესაძლოა ამ ენის საშუალებით სვანთა მოზარდმა თაობამ ხეირიანად შეისწავლოს და შეითვისოს რუსული ენა. აბა რა ენაა ის ენა, რომელსაც ვერ მიუხწევია და ვერც მიახწევს იმ განვითარებამდის, რომ გახდეს სამწიგნობრო ენად, რომელსაც არა აქვს თავისი ანბანი და მაშასადამე არც არა დაწერილა რა არც დაიწერება იმ ენაზედ. სვანური ქართულის ენის შტო არის, თითქმის ნახევარი სიტყვები იგივე ქართულია; ამის გამო საუმჯობესოდ მისაჩნევია, რომ სკოლამ სვანების მოზარდ თაობას თავისი ძირეული დედა-ენა ქართული ასწავლოს, ის ენა, რომელიც საკმაოდ შემუშავებული და განვითარებულია, რომლითაც ლაპარაკობს მთელი ქართველი ერი, და რომლითაც იწერებოდა და იწერება დღესაც გონების ნაწარმოების ქართველ უკეთესს მწერალთა და მოღვაწეთა. ღმერთმან ინებოს, რომ ამ ერთად ერთს სკოლას, რომელსაც საგნად აუღია სვანების გამოფხიზლება გონებით, და სწავლა ცოდნის მინიჭება მათთვის, ეს საყურადღებო ნაკლი რაც შეიძლება მალე თავიდამ მოეცილებინოს.

ქაიხოსრო გელოვანი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

დღეს ჩვენს გაზეთში ვიწყებთ არქიმანდრიტის ევგენიოზის მკვლელობის შესახებ სასამართლოს მატიანის ბეჭდვას. ეს საქმე თელავში გაარჩია ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ. დღესვე გაზ. „Нов. „Обоз.“-ში ამ საქმის შესახებ საყურადღებო კორესპონდენციაა თელავიდგან დაბეჭდილი სასამართლოში დამსწრესი. კორესპონდენტი ამბობს, რომ თუ ს. ებიტაშვილის, მკვლელის, ამხანაგები ვერ აღმოჩნდნენ, მაინც ბევრი საყურადღებო რამ დაგვანახვა ამ საქმის სასამართლოში წარმოებამაო. საყურადღებო ცნობებს იუწყება კორესპონდენტი ბერძენ ბერების კალონიის შესახებ.

ჯერ ერთი ისა, რომ თუმცა ეს კალონია რუსეთსა და რუსეთის ეპარქიაში იმყოფება, არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვს არც რუსეთისა და არც ადგილობრივს სასულიერო მთავრობასთან. მოდის ბერი ათონიდგან, ან მარტო და ან მორჩილითურთ, უეჭველად არქიმანდრიტი, ჰბინავდება ერთ-ერთს მამულში, რომელიც ათონის ივერიის მონასტერს ეკუთვნის, იმ მონასტერს, სადაც ერთი ივერიელიც არ მოიძებნება, და ასარგებლებს ვენახებსა, ტყეს, მინდორს, ადგილობრივისავე მკვიდრის დასმარებით. ის-კი ღმერთმა უწყის, თუ ან მონასტერში რამდენი ივზავნება და ან მამულის გამგე არქიმანდრიტებს რამდენი რჩებათ. არქიმანდრიტს ევგენიოზს შემდეგ, ხუმრობა არ არის, იმისი საკუთარს სახელზედ თერთმეტის ათასის მანეთის ბანკის ბილეთები იპოვნეს. უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი სამონასტრო მამულები თითქმის მთელს საქართველოშია, ამ მონასტერს დროებით ვალდებული გლეხები ჰყავს და სიღნაღის ნახევარიც-კი ბერძნების მონასტერს ეკუთვნის. ამასობაში ამ მამულისაგან ერთს გროშს გარდასახადს არ იღებს არც საზოგადოება, არც ეკკლესია და არც ადგილობრივი სამღვდელოება. როცა მესამოცე წლებში მთავრობამ საეკკლესიო მამულები სახელმწიფო ქონებათა გამგეობას გადასცა, სასულიერო მთავრობას, ამის სამაგიეროდ, ამ მამულების შემოსავლის ოდენა ფულს აძლევდა. მაგალითებრ, ტფილისის ეპარქიას ჩამორთმეულ საეკკლესიო მამულების სამაგიეროდ წელიწადში, ვგონებთ, 60,000 მან. ეძლევა და ამ ფულით ჰსულდგმულობს უმეტესად ტფილისის ეპარქიის სასულიერო სასწავლებლები. ბერძნების მონასტრები-კი მამულებითურთ თავისუფლად, გარდასახად-დაუდებელი დარჩა და დღევანდელამდისაც არაფერს იხდის.

ამასობაში თუ ისტორია დავიშველიეთ, დავრწმუნდებით, რომ თუ გარდასახადია, სწორედ ეს ბერძნების მონასტრის მამულები უნდა იხდიდნენ.

როცა საქართველოს მეფენი და წარჩინებულნი დასახლებულს ადგილ-მამულებსა სწირავდნენ ათონის ივერიის მონასტერს, კეთილ-მორწმუნეობას გარდა, იმითაც ხელმძღვანელობდნენ, რომ ამ მამულების შემოსავლით, ჯერ ერთი, ჩვენს საეროვნო მონასტერს გააკეთილმშვენიერებენ, ჩვენს თანამემამულეებს საზრდო ექმნებათ, და, მეორე, ცოტა სარგებლობას არ მოუტანს აგრეთვე ჩვენის სამშობლოს გონებრივად განვითარებასაო. ათონში იყო საუკეთესო ქართული წიგნთ-საცავი, ათონშივე მიდიოდნენ სასულიერო განათლების დასამთავრებლად და საქართველოს ეკკლესიას შეუძლიან, არა ერთი და ორი დაასახელოს ისეთი, რომელსაც ათონში მიუღია სწავლა-განათლება და მცირე სარგებლობა არ მოუტანია თავისის მშობელ ეკკლესიისა და ქვეყნისათვის.

ეხლა-და?

მამულები ისევ ათონისა და საზღვარ-გარეთის სხვა მონასტრებს ეკუთვნის და ამ მონასტრებში-კი ხსენებითაც არავინ ახსენებს არც ქართულს ენას, არც ქართულს წირვა-ლოცვასა და არც ქართულს განათლებას. იმასკი ნუ იფიქრებთ, ვითომ ქართველთა შორის ღვთის-მოსავნი და ათონში წასვლის მსურველნი აღარავინ იყვნენ. სულაც არა! არიან, მაგრამ ბერძნებს ისე აქვთ საქმე მომართული, რომ ქართველი ბერი ათონში ერთს ნაბიჯს ვერ წასდგამს, თუ სულითა და ხორცით არ გაბერძნდა. ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ ამ მონასტრის მამულების შემოსავალზედ გარდასახადი რამ დაეწესებინათ და აქედგან აღებულის ფულით სტიპენდია დაეწესებინათ იმ ყმაწვილ-კაცების აღსაზრდელად, რომელნიც საქართველოს ეკკლესიის სამსახურს არიან მოწადინებულნი.

დიდი ხანია დროა აილაგმოს ბერძენ ბერების საქციელი, მაგრამ აქამდე ამ საქმეს ჯერ როგორღაც არა ეშველა-რა.

დასასრულ, კორესპონდენტის სიტყვით, სასამართლოში გამორკვეულა, რომ

მოკლული არქიმანდრიტი ევგენიოზი, რომელიც განაგებდა, სხვათა შორის ვიტყვით, იმ საუკეთესო ყურძნის ვენახს, რომლის ღვინოც მეფის სუფრაზედ მიჰქონდათ, ყველა მოწმეს ჩვენებით, მეტად მოურიგებელი კაცი იყო და იმის მოადგილედ ჩამოსულს, ნიფონს მამულებს არ ანებებდა, ეჩხუბებოდა, ჰლანძღავდა თურმე. ამის დამსწრენი მეზობლებიც არიან. მეტად კრიჟანგი კაცი იყო და მათრობელასაც ძალიან ეტანებოდა, მეტადრე თუ სხა სახლს გარეშე მოუხდებოდა. მოწმემ მღვდელმა გოგოლაძემ განაცხადა, რომ თუმცა ეკკლესიასა და მონასტერს შუა სულ ოცი ნაბიჯი მანძილია, ევგენიოზი ათის წლის განმავლობაში წირვას მხოლოდ სამჯერ, თუ ოთხჯერ დასწრობო! არქიმანდრიტი ნიფონი კიდევ აპრილის თვიდგან დაწყებული დეკემბრამდე მხოლოდ ერთხელ იყო ეკკლესიაში და ისიც შობა დღესაო...

როგორ მოგწონთ ეს არქიმანდრიტები, რომელნიც ეკკლესიას თოფის სროლის მანძილზედ არ ეკარებიან და შორს გაურბიან!?..

## სასამართლოს მატიანე

20 ნოემბერი 1891 წ.

(არქიმანდრიტ ევგენიოზის მოკვლა თელავში).

სასამართლოში თავსმჯდომარეობს ბ-ნი ჩემესოვი, წევრად არიან: თავ. თუმანიშვილი და ბ-ნი ვეტუხოვი; ბრალსა სდებს ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი ბ-ნი ვოცკოი; დამნაშავედ არხ. ნიფონს და ქრისტოდულო პანტელეიმონს იცავს ნაფიცის ვექილის თანაშემწე ბ-ნი როხლინი.

ბრალდებულები დაპატიმრებულნი არიან. ამათში საზოგადოების ყურადღებას იქცევს არხ. ნიფონი. არხიმანდრიტი იქნება 45 წლისა, მაღალის ტანისა, სახეზედ მწუხარება ეტყობა; პირ-მკრთალი სახე გამხდარი აქვს; დინჯად ლაპარაკობს, თუმცა გაუბედავად. არხიმანდრიტი ეკუთვნის ფილოფეის მონასტერს, ათონის მთაზე; ქრისტოდულო პანტელეიმონი 20 წლისაა, მწირია იმავე მონასტრისა; გლ. სოლომონ ებიტაშვილი იქნება 24 წლისა, მხარ-ბეჭიანი; ძალიან გაბედულად და თავგამოდებით ლაპარაკობს; საპატიმროს თავისი ნიშანი დაუდვია იმის ზნეობისათვის. არხიმანდრიტს ანაფორა აცვია და დანარჩენს ბრალდებულთ ტუსაღის ტანთსაცმელი.

დარბაზი ხალხით არის გაჭედილი; მოწმენი 17 არიან, მათ შორის არ გამოცხადდა ერთი. საქმის გარჩევა დაიწყეს მსაჯულებმა დილის 11 საათზედ. ჯერ წაკითხულ იქმნა საბრალმდებელო ოქმი, რომლიდგანაც სჩანს, რომ 1890 წ. 24 დეკემბერს, ღამე, სოფ. ზემოხოდაშენში, თავისსავე სახლში, მოჰკლეს არხიმანდრიტი ფილოფეის მონასტრისა, ევგენიოზი. ეს მკვლელობა აღმოაჩინა პირველად არხიმანდრიტისავე მსახურმა სოლომონ ებიტაშვილმა, იმ ღამესვე. ებიტაშვილის ყვირილზე შეყრილიყვნენ მეზობლები, რომელთაც შეეტყობინებინათ სოფლის მამასახლისისათვის. მამასახლისს დაებეჭდა არხიმანდრიტის სახლი და მცველი დაეყენებინა. სახლი, რომელშიაც არხ. ევგენიოზი იყო მოკლული, ორ-სართულიანია. არხიმანდრიტი იყო მოკლული დაბლა სართულის ოთახში; ამ ოთახს ერთი შესავალი კარები აქვს და სამიც ფანჯარა, რკინის ჩარჩოებით და დარაბებით; როგორც კარები, აგრეთვე ფანჯრები ჩანგლით იკეტება. არხიმანდრიტის გვამი ჰნახეს იატაკზე, ტახტის მახლობლივ, რომელზედაც იძინებდა ხოლმე. თავში ორი დიდი ჭრილობა ჰქონდა, ორივ ბასრ იარაღის ნაკრავი. ოქმიდგან სჩანს, რომ კედლის განჯინების საკეტნი და კარების ჩანგალი დაუმსხვრევიათ, განჯინის ყუთები არეულ-დარეულია. კარების ჩანგალი, როგორც ზევითა ვთქვით, გატეხილია, მხოლოდ გარედგან მოწოლის გამო-კი არა, არამედ შიგნიდგანვე, რადგანაც ჩანგალის ყური ჯერ გადაუტრიალებიათ და მერე ისე მოუშლიათ. ამ გარემოებამ აფიქრებინა ბევრს, რომ ეს მკვლელობა უნდა ჩაედინოს იმისსავე მსახურს—სოლომონ ებიტაშვილს და ამისათვის წინანდლის ნაწილის ბოქაულმა, ბ-ნ იორამიშვილმა დააპატიმრა იგი. პატიმრობის დროს ებიტაშვილს ეღიარებინა ბოქაულის წინაშე, რომ არხიმანდრიტის მკვლელობაში ვურევივარ; მხოლოდ მე-კი არ ჩავიდინე მკვლელობა, სხვამაო. არხ. ნიფონის მოგზავნილს იმის მსახურს ქრისტოდულოს კარები გავუღე არხ. ევგენიოზისა ოთახისა და ქრისტოდულომ მოკლა არხიმანდრიტიო. არხიმ. ნიფონი გამოგზავნილი იყო საბერძნეთიდგან სოფ. ზემოხოდაშენში მონასტრის მამულების ჩასაბარებლად არხ. ევგენიოზისაგან, ხოლო არხ. ევგენიოზი საბერძნეთში გადიყვანეს. მკვლელობის დროს არხ. ნიფონი თავისის მოსამსახურე ქრისტოდულოთი სცხოვრობდა იმავე ეზოში, რომელშიაც იდგა არხ. ევგენიოზის სახლი, კოშკში. კოშკსა და არხ. ევგენიოზის სახლს შუა 6 საჟენი იქნება.

შემდეგ ებიტაშვილს გამოჰკითხა გამომძიებელმა, რომლის წინაშეც თავისი თავი დამნაშავედ სცნო, მონაწილეობას ვიღებდი ამ საქმეშიო. რამდენისამე კვირის წინად მკვლელობამდის არხიმანდრიტი ნიფონი მაქეზებდა, მოჰკალი არხ. ევგენიოზიო და არ დავთანხმდი. ჩვენ შორის შუამავლობდა ქრისტოდულო პანტელეიმონი, რადგანაც არხ. ნიფონმა ქართული ლაპარაკი არ იცოდა. ბოლოს არხ. ნიფონმა და ქრისტოდულომ დამითანხმეს და პირობა დავდეთ, რომ კარები უნდა გამეღო, შემეშვა ქრისტოდულო და ის მოჰკლავდა. ეს იყო 24 დეკემბერს 1890 წ. ამისთვის არხიმ. 100 მანათს დამპირდა. იმ ღამეს არხ. ევგენიოზმა ადრე ჭამა ვახშამი და დაიძინა. თითონ ებიტაშვილი იმავე ოთახში დაწვა ჩვეულებისამებრ, რადგანაც არხ. ევგენიოზს ღამე მოვლა სჭირდებოდა. ღამის თერთმეტ საათზე ქრისტოდულომ დაარახუნა კარები. მე კარი გაუღე და ეზოში გამოვედი. კარგა ხნის შემდეგ ოთახიდან გამოვიდა ქრისტოდულოც ცულით ხელში და შემატყობინა, რომ საქმე გათავებულიაო. შემდეგ არხ. ოთახიდან ქრისტოდულომ გამოიტანა ჩემი ლოგინი, სამზარეულო ოთახში შეიტანა და მითხრა, იქ შედიო. გარედამ კარებს დაგიკეტავო. რამდენისამე ხნის შემდეგ მორთე ყვირილი და მეზობლებს შველა სთხოვეო; როცა ხალხი შეიყაროს, უთხარი, რომ არხ. ევგენიოზის სახლს ავაზაკნი დაეცნენო და მე სამზარეულო ოთახში დამკეტესო. მეც ასე მოვიქეცი, სამზარეულოს ფანჯარა გავაღე, ყვირილი დავიწყე და ხალხი შეიყარა. მიზეზი მკვლელობისა მტრობა იყო ორ არხიმანდრიტს შორის. პირველ ხანებში არხიმანდრიტები ტკბილად სცხოვრებდნენ, მაგრამ, როცა ნიფონს რწმუნების წერილი მოუვიდა ფილოფეის მონასტრისგან მამულების მიღებისა, უსიამოვნობა მოუვიდათ და ჩხუბიც ხშირად მოსდიოდათ, რადგანაც არხ. ევგენიოზი მამულებს არ ანებებდა. ევგენიოზს მამულებზე ფული ჰქონდა დახარჯული და იმ დრომდე არ ჩაგაბარებო, ეუბნებოდა, სანამ ჩემს ფულს არ გავინაღდებო. უსიამოვნობა იქამდე გამწვავდა, რომ არხ. ნიფონი კოშკში გადასახლდა და არხ. ევგენიოზმა აღმიკრძალა, ნიფონს მონასტრის გამომცხვარს პურს ნულარ მისცემო. როცა ქრისტოდულო ჩამოვიდა ზემოხოდაშენში, არხ. ევგენიოზმა დაიახლოვა, უამბობდა ხოლმე თავისის საქმეების გარემოებებს და ამისათვის ქრისტოდულოს უნდა სცოდნოდა, სად რა ჰქონდა შენახული არხ. ევგენიოზს. ქრისტოდულოს შესვლამდის არხ. ევგენიოზის ოთახში განჯინები და სკივრები მთელი იყო და ამისათვის ქრისტოდულოს უნდა დაემტვრიოს კლიტეები. არ ვიცი, წაუღია თუ არა ქრისტოდულოს ფული და არც ის ვიცი, თუ სად შეინახა ქრისტოდულომ სისხლიანი ცული. შემდეგ რამდენჯერმე ვიყავი არხ. ნიფონთან დაპირებულის ათი თუმნის მისაღებად, მაგრამ არხ. არ მომცა ფული, არა მაქვსო.

გამომძიებლისთვისვე არხ. ნიფონს და ქრისტოდულო პანტელეიმონს უთქვამთ: პირველს, მონასტრის მიერ დავალებული მქონდა მიმეღო არხ. ევგენიოზისაგან მონასტრის მამულები სოფ. ზემოხოდაშენში. ამისათვის ჩამოვედი სოფ. ზემოხოდაშენში 30 აპრილს 1890 წ., მაგრამ, რადგანაც ჯერჯერობით მონასტრის რწმუნების წერილი არა მქონდა, ამისათვის არხ. ევგენიოზმა არ ჩამაბარა მამულები. ენკენისთვეში რწმუნების წერილი მომივიდა და ჩავიბარე კიდეც არხ. ევგენიოზისაგან მამულები. პირველ ხანებში ევგენიოზთან ვიდექი და უსიამოვნება არა მოგვსვლია-რა, და შემდეგ თუ გადავსახლდი, იმიტომ რომ არ მინდოდა შემეწუხებინა არხ. ევგენიოზი, რომელიც ავადმყოფობდა. არავითარი უსიამოვნობა, არა მქონია აგრეთვე ებიტაშვილთან და არ ვიცი, რად მაბრალებს არხიმანდრიტის მკვლელობას. 26 დეკემბერს, მართალია, ებიტაშვილი მოვიდა და სესხად 100 მანეთი მთხოვა, თელავში მგზავნიანო. ქრისტუდულოს უთქვამს, რომ სოფ. ზემოხოდაშენში არხ. ნიფონთან ერთად ჩამოვედით. არც ჩემს ბატონს და არც მე არავითარი უსიამოვნება არა გვქონია. არხ. ევგენიოზთან და იმის მოსამსახურე ებიტაშვილთანაო.

დასაბუთებულ იქმნა, რომ 1,) არხ. ევგენოზი მოუკლავთ ცულით; 2,) მკვლელს არ შეეძლო გარედგან შესულიყო არხ. ევგენოზის ოთახში, თუ ამხანაგი არ ეყოლებოდა შიგ ოთახშივე, რომელსაც უნდა გაეტეხნა ჩანგალი და ოთახის სვეტი. ჩანგალი ისე იყო გატეხილი, რომ მხოლოდ შიგნიდგან შეიძლებოდა, მით უფრო, რომ არც კარებსა და არც ფანჯრებს გარედგან არა ეტყობა-რა 3,) მკვლელობის მიზეზი გაძარცვა არა ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, რადგანაც არაფერი წაუღიათ. თუმცა ნივთები არეულ-დარეულია, მაგრამ არაფერია დაკლებული. ამას გარდა არხიმანდრიტის ტახტზე ეგდო ქისა, რომელშიაც ოც-და-ხუთი თუმანი—იყო და სკივრში კიდევ ოსმალოს ოქროს ფული. ორივე ხელ უხლებელია. გაძადცვა რომ ყოფილიყო მიზეზი, მკვლელი ამისთანა ძვირფასს ნივთებს წაუღებელს არ დასტოვებდა. 4,) არხიმანდრიტი მოუკლავთ ძილის დროს, მოულოდნელად, რადგან ბრძოლის ნიშანი არსად არა სჩანს-რა. 5) ცული ბოგირის ქვეშ დამალული აღმოჩნდა. ეს ცული ბოგირის ქვეშ იპოვნა განთიადისას მოწმემ ლაზარ სუხიტაშვილმა. 6) მოწმების, მოსე ჯავახიშვილის, მღვ. გოგოლაძის, თ. ლონგილოზ გურამიშვილისა, სოლომონ ჭიჭიაშვილის და სხ. ჩვენებიდგან და აგრეთვე არხ. ნიფონის მიერ ფილოფეის მონასტერში გაგზავნილ წერილების შავიდგანა სჩანს, რომ არხიმანდრიტების შორის მტრობა ყოფილა. ნიფონი სწერს, რომ ხშირად მოგვდიოდა უსიამოვნება და ლაპარაკიო; ყოველისფერს მოკლებული ვარ, მამულებს არ მაბარებენ და არ ვიცი, რით ვიცხოვრონო. ამასა სწერს ნიფონი მონასტრის წინამძღვარს, რომ მამულები მკვლელობამდის არ ჩაუბარებია არხ. ევგენიოზის ნიფონისათვის, ეს იმითი მტკიცდება, რომ წიგნები და მამულების სიები არხ. ევგენიოზის ნივთებში აღმოჩნდნენ.

ამას შემდე, მოწმები დაათიცეს და ჩვენების ჩამორთმევას მიჰყვეს ხელი. პირველადა ჰკითხეს ბრალდებულს ებიტაშვილს და შემდეგ დანარჩენს ორს ბრალდებულს.

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

29 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ საზოგადო სამუშაოთა განსაწყობად პირველ ხნობით გადასდეს 10 მილიონი მანათიო.

გუშინ გატჩინოში საფრანგეთის ახალმა ელჩმა ხელმწიფე იმპერატორს ჩაბარა აუდიენცის დროს თავის სამსახურზე დანიშნვის საბუთები.

ომერ-პროკურორი სენატის მეორე დეპარტამენტისა დაინიშნა იუსტიციის მინისტრის თანაშემწედ. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი ტიხეევი დაინიშნა დარექტორად ამა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტისა და მასვე მიენდო დროებით გამგებლობაც პირველის დეპარტამენტისა.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ნოემი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8 1/7 | 8, 39 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 165 | 165, 75 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 19 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 239 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 218 | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . , . | 200 | — ,, | 202 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

**ბათუმიდამ გადის:**

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის სააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

## განცხადებანი

КРАСКА для ВОЛОСЪ
В. ГЕНА
ВЪ ВѢНѢ
изъ
ГРЕЦКИХЪ
ОРѢХОВЪ.
ОХРАНИТЕЛЬНАЯ МАРКА.
БЕЗВРЕДНОЕ СРЕДСТВО ДЛЯ БЫСТРАГО ОКРАШИВАНІЯ ВОЛОСЪ и БОРОДЫ въ ЧЕРНЫЙ РУСЫЙ, ТЕМНО- и СВѢТЛО-КАШТАНОВЫЙ ЦВѢТЪ.
ЦѢНА ЗА ФЛАКОНЪ съ ПЕРЕСЫЛКОЙ 3 Р.
ГЛАВН. СКЛАДЪ ДЛЯ РОССІИ В. АУРИХЪ въ С. ПЕТЕРБУРГѢ КОЛОКОЛЬНАЯ 18.
(10—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი. . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძასა და ი. მაჩაბლისა . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკკლესიო ისტორია მისივე . . . . . | „ | 45 |
| ივანნამ რა ვქნა? საყმაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. . . . | „ | 10 |
| საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზაალიშვილისა. . . . . | „ | 20 |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე . . . | „ | 25 |

ა. რალლე და ამხ.
მოსკოვში
სასახლის იჯარადარი
ა. რალლეს და ამხ.
ფაბრიკის მიერ განსაკუთრებით გაკეთებულნი და გამოგონილნი:
ხავერდის პუდრა
ფერადი საპონი გლიცერინისა
კვერცხის საპონი
ყვავილებით დაწმენდილი ო-დე-კოლონი
იყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა (5—2)
Ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 18 მარტის მე-87 №-ში

სატუალეტო საშუალება დედათათვის

БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ
Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.
იხმარება კანისა, სახისა და ხელების დასაბანად.
წესი ხმარებისა: ამ ბალზამის შემზადების დროს უმთავრესი ყურადღება იმასა აქვს მიქცეული, რომ ისეთი მასალა არა ერიოს-რა შიგ, რაც კანს ახდენს და აფუქებს. ფასი: შუშა ჭლირს 1 მ. 65 კ. ბენზოს საპონი 35 კ. და 50 კ. ნაჭერი და ოპო პომადა (კოლდ-კრემს სჯობია) 1 მ. შეხვევა და გაგზავნა ევროპის რუსეთში 70 კ., აზიის რუსეთში—1 მ. უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან, ს.-პეტერბურგს, კოლოკოლ., 18—19. შეიძლება ყიდვა ყოველს საპარფიუმერო და საათიაქო მაღაზიაში და რუსეთის ზოგიერთს აფთიაქში. (7—2)

კელერის ძმრის ესენცია
საყოველთაოდ ცნობილი ნამდვილი კელერის ძმრის ესენცია და აქამომდე ყველაზედ უკეთესი, ყველაზედ სარფა და ყველაზედ გემრიელია და შემდეგშიაც ამისთანავე იქნება.
რადგან ბევრი ჰბაძავს კარგის ღირსების ნაწარმოებს, რომ თავისი გაასაღოს, კელერის ძმრის ესენციის ყიდვის დროს უნდა ფრთხილად იყოთ, რომ ამ სალიან და გემრიელ საკმაზავის მაგიერ, ხის ძმრის სიმჟავე არ აიღოთ, შერეული და მეტად უგემური.
ბოთლზე არა თუ ფირმის ეტიკეტია ხელმოწერილი რ. კელერისა, ზედ პლომბიც უნდა იყოს, რომელიც პრობკას შუა გატარებულ მავთულზედ ჰკიდია.
ყველა საუკეთესო მაღაზიაში იყიდება ყველგან. (5—მ—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია“
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. | 10 მ.—კ. | 6 | თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50,, | 5 | ,, | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75,, | 4 | ,, | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, —,, | 3 | ,, | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25,, | 2 | ,, | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50,, | 1 | ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ‘‘.
თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.
თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.
ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:
ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რაცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.
ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.
არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.
პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.
რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 29-го Ноября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.